ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N30

**სხდომის ჩატარების თარიღი:** 2024 წლის ივლისი, 10:00 საათი
**სხდომის ჩატარების ადგილი:** ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობა, სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზ. N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 30-ე სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე.

**ესწრებოდნენ:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:** კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

კომისიის წევრები:
გია ბასილაძე, ამირან კოპალეიშვილი, ირაკლი შენგელია, მარეხი ნიჟარაძე, პაატა ლილუაშვილი, ზაქრო მამასახლისი, მერაბ ჭოხონელიძე.

**სულ:** 15 **წევრიდან 8 წევრი.**

**არ ესწრებოდნენ:**

გაგა მანაგაძე, დავით ბახტაძე, მაია სიმონიძე, გიორგი კილაძე, ელეონორა არჩაია, რომან ქვაჩაკიძე, კობა გურული.

**სულ:** 7 წევრი

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბ-ნი **დ.ნიშნიანიძე** და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ:** „მოგესალმებით მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ, სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა. წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 30-ე სხდომის დღის წესრიგის შემდეგ პროექტს:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**ბატონი დავით ნიშნიანიძე**
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

**ბატონი ბაქარ მახარაძე**
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

3. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭის ყრით ერთხმად **დაადგინეს:**
დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

**მოისმინეს:**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „გთავაზობთ მორიგ ცვლილებას ქალაქის ბიუჯეტში, რაც მთავარია ზრდის მიმართულებით. დაკორექტირდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულება და დაზუსტდა ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული კოდები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის N2400 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 3 მლნ ლარი. საქართველოს მთავრობის 23/07/2024 წლის N1025 განკარგულების საფუძველზე ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტს დაემატა ახალი პროგრამა „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა“, რომლის გეგმაც განისაზღვრა 2 891,9 ათასი ლარით. პროგრამის ფარგლებში შეირჩევა ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ, მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად. ეს პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც მოქალაქეებთან შეთანხმების და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით შეიძლება მოხდეს პროგრამების შერჩევა, რაც სათანადო ოქმში აისახება.

აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მიერ, ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა კაპიტალური გრანტი 690,0 ათასი ლარის ოდენობით. ამისათვის მადლობა ქალაქის საფინანსო სამსახურს, მის ხელმძღვანელს ბატონ დავითს, რომელმაც თავისი ეფექტური მუშაობით ხელი შეუწყო ქალაქისთვის ამ თანხის მოზიდვას.

შემოსულობებისა და ხარჯების გეგმა გაიზარდა 10547,6 ათასი ლარით, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება გაიზარდა 193,2 ათასი ლარით; მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია გაიზარდა 431,2 ათასი ალრით; ქალაქის კეთილმოწყობა - 567,1 ათასი ლარით; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა,

განვითარება - 623,0 ათასი ლარით, განათლება - 735,7 ათასი ლარით; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2147,5 ათასი ლარით.

მე-3 ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 143 923,9 ათას ლარს. შეგახსენებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შესრულებამ 117 711,5 ათასი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 7 თვეში ბიუჯეტი უკვე 26,2 მლნ ლარით მეტია. დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ სამსახურის უფროსს, ბატონ **დ.ნიშნიანიძეს**.

**მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი დ.ნიშნიანიძე:** „ბატონმა ბექამ ძალიან ვრცლად და დეტალურად ისაუბრა წარმოდგენილ პროექტზე, რომლის ძირითადი არსია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება. ამასთან, ქუთაისის ბიუჯეტში განხორციელდა პროგრამულ კოდებსა და ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.

მესამე ცვლილებით ბიუჯეტის გადასახდელებმა 144 მლნ ლარს მიაღწია. ჩვენ გავზარდეთ არაფინანსური აქტივების გეგმა 20,2 მლნ ლარამდე. ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო საქართველოს მთავრობის N1025 განკარგულებით გამოყოფილ თანხაზე (1029.5 ათასი ლარი), რომლის განკარგვაში მეტი თავისულება მოგვცა კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ. კერძოდ, ხელშეკრულებებით, პირდაპირი გზით შეიძლება დაფინანსდეს რიგი შესყიდვები. მთლიანობაში პროექტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და მოწონებულია ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებაში“.

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

**კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე:** „ამ პროექტების შეფასებას ვინ გააკეთებს?“

**სამსახურის უფროსი დ.ნიშნიანიძე:** „ბაზრის კვლევის შედეგად მოხდება პროექტის შეძენა, რომელზეც დამატებით 200 ათასი ლარია განსაზღვრული. აქ ძირითადად მოიაზრება მცირე, 60-70 ათასლარიანი პროექტები“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მხარდაჭერილ იქნას „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანა (მესამე ცვლილება).

**მოისმინეს:**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი** - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (დანართი ოქმს თან ერთვის).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2024 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ სამუშაო შეხვედრებში, სამსახურებთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 14 სხდომა. მათზე განხილულია 43 საკითხი. ვცდილობთ კონტროლი განვახორციელოთ ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით სხვადასხვა სამსახურებთან გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა, მ.შ. „სპეცსერვისებთან", რომელსაც მოსახლეობასთან ყოველდღიური შეხება აქვს. რა თქმა უნდა მომავალში უნდა ვიზრუნოთ მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაზე, რაც დადებით ეფექტს მოგვცემს. დეტალურ ინფორმაციას საკრებლოს სხდომაზე დღეს მოგახსენებთ".

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

**კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე:** „მინდა ჩემო პოზიცია დავაფიქსირო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით. მაქსიმალურად ვიყავი ჩართული კომისიის მუშაობაში, სადაც არაერთი საკითხი განვიხილეთ და ჩვენი მოქალაქეების სასიკეთოდ გადავწყვიტეთ. მადლობა მინდა მოვახსენო კომისიის თავმჯდომარეს, მთელს კომისიას გაწეული მუშაობისათვის".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბ.მახარაძემ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 8, წინააღმდეგი - ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად".

ამით კომისიის ოცდამეათე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

**ბაქარ მახარაძე**